საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

# საჯარო სკოლების დირექტორების შესარჩევ კონკურსში კომისიის წევრების სტატუსით საიას იურისტები მონაწილეობენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საჯარო სკოლების დერექტორების შესარჩევ კონკურსში მინისტრის 2007 წლის 13 აპრილის #269 ბრძანებით დამტკიცდა გასაუბრების კომისიების შემადგენლობა. კომისიის წევრის სტატუსით აღნიშნული კომისიის მუშაობაში ჩაერთო საქართველოს ახალგაზრდა

იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები:

ქ. თბილისის გასაუბრების კომისია #1 – საიას წარმოადგენდა ეკატერინე ფოფხაძე;
ქ. ქუთაისის გასაუბრების კომისია – საიას წარმოადგენა ნოდარ ჯიქია;
ქ. ბათუმის გასაუბრების კომისია – საიას წარმოადგენდა ნიკოლოზ გეგეშიძე.

კონკურსანტებთან გასაუბრება 24 აპრილიდან 24 მაისამდე მიმდინარეობდა. გასაუბრების შედეგად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის მოხდა იმ კანდიდატთა წარდგენა, რომლებმაც კონკურსის ეს ეტაპი წარმატებით გაიარეს.